საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 22 იანვარი, 2025 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/36

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლისა და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ თეიმურაზ კეჟერაძისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №04-01/35 დადგენილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. **2025 წლის 22 იანვარს** გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-ბხსუ) **რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები** და დამტკიცდეს „ბხსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს განცხადების ტექსტი **(დანართი №1).**

2. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არჩეული იქნეს ბხსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლის დღემდე ვადით, მაგრამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევიდან არაუმეტეს 6 თვის ვადისა.

3. ბხსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103) **2025 წლის 27 იანვარს 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე.**

5. **კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4;

დ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ (შენიშვნა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.) გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) მოკლევადიანი (6 თვის) სამოქმედო გეგმა.

6. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2025 წლის 30 იანვარს, 14:00 საათზე.**

7. ბხსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 30 იანვარს, 15:00 სთ-ზე.**

8. ბხსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბხსუ-ს წესდებით, ბხსუ-ში არჩევნების ჩატარების დებულებით და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

9. ბხსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება (დანართი№1) საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2025 წლის 22 იანვრისა გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე).

10. წინამდებარე დადგენილებისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის აიტი მენეჯერს.

11. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, აიტი მენეჯერს, იურისტს, საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას და ფაკულტეტებს.

12. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

13. დადგენილება ძალაშია ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე **ნ.ვარშანიძე**